## საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის პროცესში გამოწვევებისა და შესაძლებლობების გამოვლენაზე და საპასუხო მოქმედებებისა და განხორციელების ვადების განსაზღვრაზე სამუშაო ცხრილი

| | ინტეგრაციის კომპონენტი | მიმართულება | იდენტიფიცირებული გამოწვევები | იდენტიფიცირებული შესაძლებლობები | დაგეგმილი ღონისძიებები | ვადები | მონაწილე მხარეები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | განათლება | 1. სკოლამდელი განათლება | 1. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სდმ პირთა ბავშვების შესაბამისი აღრიცხვისა და სტატისტიკის არარსებობა | | რეგისტრაციის ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი ველის დამატება<br><br>ინტეგრაციის ცენტრში საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა სარეგისტრაციო განაცხადში დაემატება ახალი ველი, სადაც საერთაშორისო დაცის მქონე ბავშვების სკოლამდელი განათლების საჭიროებებების შესახებ ინფორმაციის დაფიქსირება და შემდგომი სტატისტიკის დამუშავება იქნება შესაძლებელი | 2019 | თბილისის მერია;<br><br>მუნიციპალიტეტები<br><br>ლტოლვილთა სამინისტრო; ინტეგრაციის ცენტრი |
| | | | 2. საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ცნობიერების დაბალი დონე სკოლამდელი დაწესებულებების | | ლტოლვილთა სამინისტრო, ინტეგრაციის ცენტრის ჩართულობით ხელს შეუწყობს | | ლტოლვილთა სამინისტრო |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ადგილმდებარეობის, მიღებისთვის საჭირო პროცედურების, პრაქტიკული მიდგომების და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის შესახებ | | საერთაშორისო დაცვის მქონე პირებს შორის ინფორმაციის გავრცელებას მოცემულ საკითხთან მიმართებაში | | პარტნიორი: UNHCR |
| | | | 1. თბილისს გარეთ სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის ქართული ენის პროგრამით სწავლების ხელმიუწვდომლობა (გამოკვეთილი საჭიროებების შემთხვევაში, განსაკუთრებით, ქუთაისში, ბათუმსა და მარტყოფში.) | | მომართვიანობის შემთხვევაში პროგრამის დამატების შესაძლებლობა - ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით | | განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო<br><br>ლტოლვილთა სამინისტრო |
| | | 2. სასკოლო განათლება | 2. ქართული ენის სასწავლო პროგრამა ხელმისაწვდომია მხოლოდ ერთ საჯარო სკოლაში, თბილისის გარეუბანში, რაც ურთულებს ბევრ ბენეფიციარს | | დაინტერესებული საერთაშორისო დაცვის მქონე პირების ტრანსპორტირების უზრუნველყოფის შესაძლებლობის დონორთან განხილვა ან პროგრამის ისეთ ტერიტორიაზე დანერგვის შესაძლებლობის განხილვა, სადაც მოსახლეთა დიდი ნაწილი სდმ პირია (მოცემული საჭიროების | 2019 | ლტოლვილთა სამინისტრო<br><br>განათლების სამინისტრო<br><br>პარტნიორი: UNHCR |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | დაფიქსირების შემთხვევაში) | | |
| | | | 3. თავშესაფრის მაძიებლად რეგისტრაციიდან ქართული ენის შემსწავლელი პროგრამის დაწყება არ არის თანხვედრაში, შესაბამისად დიდია ლოდინის პერიოდი [i] | ქართული ენის პროგრამის განხორციელების ვადები თანხვედრაშია სასკოლო სასწავლო წლის დაწყებისა და დასრულების ვადებთან, რათა ბავშვმა უწყვეტად შეძლოს სკოლაში სწავლის გაგრძელება ქართული ენის პროგრამის გავლის შემდგომ. | | | განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| | | | | 4. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული - მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შესაძლებლობა | ინტეგრაციის ცენტრში სამიზნე ჯგუფის ინფორმირება | 2018 | ლტოლვილთა სამინისტრო (ინტეგრაციის ცენტრი) |
| | | | | 5. საჭიროებიდან გამომდინარე, შესაბამის სტატისტიკაზე დაყრდნობით, მასწავლებელთა გადამზადება უცხოელთა და კულტურული სენსიტიურობის საკითხებზე | შესწავლილ იქნას სტატისტიკური მონაცემები მასწავლებელთა გადამზადების აუცილებლობის დასადგენად უცხოელთა და კულტურული სენსიტიურობის საკითხებზე. | | საქართველოს სტატისტიკის სამსახური<br><br>სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული სააგენტო |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 3. პროფესიული განათლება/ კვალიფიკაციის ამაღლება | 1. დაბალი ცნობიერების დონე სდმ პირებში პროფესიული განათლების შესახებ | | ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება | 2018-2019 | ლტოლვილთა სამინისტრო (ინტეგრაციის ცენტრი)<br><br>განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, |
| | | | 2. პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებთან (Worknet-თან) დაკავშირებით ცნობიერების დაბალი დონე | | ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება | 2018-2019 | ლტოლვილთა სამინისტრო (ინტეგრაციის ცენტრი)<br><br>შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; |
| | | | 3. Worknet-ზე რეგისტრაციის სირთულე ენობრივი ბარიერის გამო | | სდმ პირთა Worknet-ზე რეგისტრაციის პროცესს ინტეგრაციის ცენტრი გაუწევს კოორდინაციას ინტეგრაციის ცენტრი, ჯანდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით ასევე ყურადღებას გაამახვილებს რომ მოხდეს რეფერირება სოც. სააგენტოებში (69) რომელთა | 2018-2019 | ლტოლვილთა სამინისტრო (ინტეგრაციის ცენტრი)<br><br>შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | კომპეტენციაშიც შედის დასაქმების კომპონენტი | | |
| | | 4. ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარება | 1. ზოგადი სახის გამოწვევა იმ სდმ პირთა განათლების ხარისხის აღიარებასთან დაკავშირებით, ვისაც არ აქვს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი | | სდმ პირთა მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მექანიზმების შემუშავება<br><br>საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, ლტოლვილთა სამინისტროს ჩართულობა შესაბამისი მექანიზმების შემუშავების პროცესში | 2018 წლის დეკემბერი | სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი<br><br>ლტოლვილთა სამინისტრო |
| | | | 2. ხარისხის აღიარების მოთხოვნით განაცხადის მიღების პროცესში სდმ პირთა შესაბამისი აღრიცხვისა და სტატისტიკის არარსებობა | | ელექტრონული აპლიკაციის შემუშავებისას სპეციალური გრაფის გათვალისწინება | 2019 წლის მარტი | სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი |
| | | | 3. არაფორმალური განათლების აღიარების შესაძლებლობის ხელმიუწვდომლობა სდმ პირთათვის | | განათლებისა და მეცნიერების სამინსიტრო, საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, ლტოლვილთა სამინისტროსთან ერთად განიხილავს არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმის შემუშავებას | 2019 | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო<br><br>ლტოლვილთა სამინისტრო<br><br>პარტნიორი: UNHCR |
| | | 5. უმაღლესი განათლება | | 1. ბაკალავრის საგანანმანათლებლო საფეხურისთვის | ცნობიერების ასამაღლებელი | 2019 | ლტოლვილთა სამინისტრო |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ქართული ენის კურსის გავლის შესაძლებლობა | აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება | | (ინტეგრაციის ცენტრი)<br><br>განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| | | 6. ქართული ენის სწავლება | 1. ქართული ენის სწავლების ხელმიუწვდომლობა რეგიონებში | | ქართული ენის სწავლების საჭიროების იდენტიფიცირება რეგიონების მიხედვით და სწავლების პროცესისათვის შესაბამისი სივრცის მოძიება;<br><br>საზოგადოებრივი ცენტრების გამოყენების შესაძლებლობა; | 2019 | სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირებ ის სკოლა;<br><br>სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო |
| | | | 2. ქართული ენის სწავლების ხელმიუწვდომლობა თავშესაფრის მაძიებელთათვის | | ინტეგრაციის ცენტრის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა თავშესაფრის მაძიებელთათვის;<br><br>ლტოლვილთა სამინისტრო სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში წარადგენს საკითხს ფინანსთა სამინისტროსთან სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ბიუჯეტის | 2019 | სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირებ ის სკოლა;<br><br>ლტოლვილთა სამინისტრო;<br><br>ფინანსთა სამინისტრო |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | შესაბამისი ზრდის საჭიროების შესახებ; | | |
| | | 7. სასწავლო პროგრამებ ი/ სახელმძღვ ანელოები | | 1. სამოქალაქო განათლების სასწავლო პროგრამის და სახელმძღვანელოს შინაარსობრივი მოდიფიკაცია სდმ პირთა სპეციფიკასთან | ლტოლვილთა სამინისტროს ჩართულობა არსებული საგანმანათლებლო რესურსის მოდიფიკაციის პროცესში სამიზნე ჯგუფის სპეციფიკიდან და თემატური საჭიროებებიდან გამომდინარე | 2019 | სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირებ ის სკოლა;<br><br>ლტოლვილთა სამინისტრო; |
| | | | | 2. სდმ პირთა სპეციფიკაზე მორგებული საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შემუშავება | სახელმძღვანელოს შემუშავება ლტოლვილთა სამინისტროს ჩართულობით სამიზნე ჯგუფის სპეციფიკიდან და თემატური საჭიროებებიდან გამომდინარე | 2019 | სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირებ ის სკოლა;<br><br>ლტოლვილთა სამინისტრო; |
| **2** | **ეკონომიკუ რი ინტეგრაცი ა** | 1. დასაქმების შესაძლებლ ობები | | 1. პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სერვისის ხელმისაწვდომობა | ჯანდაცვის სამინისტროს ჯგუფური კონსულტაციების შეთავაზება სდმ პირებისათვის ინტეგრაციის ცენტრის ჩართულობით | 2018-2019 | შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;<br><br>ლტოლვილთა სამინისტრო (ინტეგრაციის ცენტრი) |
| | | | | 2. ჯანდაცვის სამინისტროს დასაქმების | ინტეგრაციის ცენტრის ბენეფიციართა პროფილების შედგენა | 2019 | ლტოლვილთა სამინისტრო |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ფორუმისათვის სდმ პირების სამიზნე ჯგუფის მომზადება | და მომზადება დასაქმების ფორუმებისათვის | | (ინტეგრაციის ცენტრი)<br><br>შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო |
| | | | 3. დამსაქმებლებში ცნობიერების დაბალი დონე და ინტერესის არქონა სდმ პირებთან, როგორც ახალ სამიზნე ჯგუფთან დაკავშირებით | | სდმ პირთა ყოველთვიური პროფილების მომზადება და მიწოდება შრომის სამინისტროსა და დამსაქმებელთა ასოციაციისთვის<br><br>კონკრეტულ ბიზნეს სექტორებთან, კონკრეტულ რეგიონში თანამშრომლობის ხელშეწყობა (დამსაქმებელთა ასოციაცია) | 2018-2019 | შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;<br><br>საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია<br><br>ლტოლვილთა სამინისტრო (ინტეგრაციის ცენტრი) |
| | | 2. ბიზნესის/მეწარმეობის შესაძლებლობები | 1. მიკრო და მცირე მეწარმეობის დაფინანსების ხელმიუწვდომლობა სდმ პირებისათვის (ფიზიკური პირებისათვის) | | პროგრამის სამიზნე ჯგუფში საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა განსაზღვრის საკითხის განხილვა | 2019 | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტო |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 2. ბიზნესის დაწყების/განვითარების ათვის სესხის დაფინანსება საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირებისათვის | საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინფორმირება აღნიშნული შესაძლებლობის შესახებ ინტეგრაციის ცენტრის მეშვეობით | 2018-2019 | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/აწარმოე საქართველოში |
| | | 3. საბანკო სერვისებზე ხელმისაწვდომობა | 1. წარმოშობის ქვეყნებში მყოფი ოჯახებიდან თანხის/პენსიის გადმორიცხვასთან დაკავშირებული ბარიერები უცხოურ ვალუტაში ანგარიშების გახსნის ხელმიუწვდომლობის გამო | | სდმ პირთა ინფორმირება ეროვნულ ბანკში (მომხმარებელთა ინტერესის დაცვის განყოფილება) მიმართვის შესაძლებლობასთან დაკავშირებით | 2018-2019 | ლტოლვილთა სამინისტრო;<br><br>ეროვნული ბანკი |
| | | | 2. კონკრეტული პირებისათვის საბანკო სერვისებზე წვდომის შეზღუდვა | | სდმ პირთა ინფორმირება ეროვნულ ბანკში მიმართვის შესაძლებლობასთან დაკავშირებით | 2018-2019 | ლტოლვილთა სამინისტრო;<br><br>ეროვნული ბანკი |
| | | | 3. სდმ პირთა სტატისტიკის არარსებობა ეროვნულ ბანკში მონართვიანობისას | | ეროვნულ ბანკში მომართვიანობისას სტატუსის ინდიკაციის შესაძლებლობის განხილვა | 2019 | ეროვნული ბანკი;<br><br>ლტოლვილთა სამინისტრო |
| | **3. ჯანდაცვა** | 1. სხვადასხვა ჯანდაცვის სახელმწიფო სერვისებზე | | 1. სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამებზე წვდომა | C ჰეპატიტის პროგრამაში მონაწილეობის ხელმისაწვდომობა | 2019 | შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო |
| | | | | 2. თავშესაფრის მაძიებელთა სკრინინგი | პროვაიდერი კლინიკების შესახებ | 2018-2019 | შრომის, ჯანმრთელობისა |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ხელმისაწვ დომობა | | ეპიდემიური დაავადებების იდენტიფიცირებისათვი ს (თუკი პირს მინიჭებული აქვს სტატუსი, ოჯახის ექიმის მიმართვის შემთხვევაში უტარდება ტუბერკულიოზზე უფასო ტესტირება) | ინფორმაციის თავმოყრა;<br><br>ბენეფიციართა პროვაიდერ კლინიკებში რეფერირება<br><br>ეპიდ-ზედამხედველობის პროგრამასთან დაკავშირებით დაავადების კონტროლის ცენტრთან კომუნიკაცია | | და სოციალური დაცვის სამინისტრო<br><br>ლტოლვილთა სამინისტრო |
| | | | | 3. სდმ პირთათვის მუნიციპალური ჯანდაცვის პროგრამებზე წვდომა | დამატებითი შეხვედრები თბილისის მერიასთან კოორდინაციისათვის | 2018 | თბილისის მერია;<br><br>ლტოლვილთა სამინისტრო |
| | | | 4. თავშესაფრის მაძიებლები საჭიროებენ წარმოადგინონ ტუბერკულიოზის შემოწმების გავლის სერთიფიკატი, რაც ფასიანია (საქართველოს მოქალაქის მსგავსად) | ლტოლვილთა სამინისტრო დონორთან განიხილავს შესაძლებლობას, რომ დაფაროს თავშესაფრის მაძიებლების გამოკვლევის ხარჯები, სამინისტროსა და UNHCR-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში | | | ლტოლვილთა სამინისტრო<br><br>პარტნიორი: UNHCR |
| | | 2. სამედიცინო დაწესებულ | 1. სამედიცინო დაწესებულებების თანამშრომლების დამატებითი | | ინფორმირების გზების და საშუალებების დაგეგმვა და განხორციელება | 2018-2019 | შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ებების ცნობიერების ამაღლება | ინფორმირება სდმ პირთა უფლებების შესახებ ჯანდაცვის სერვისებზე წვდომის კუთხით | | | | დაცვის სამინისტრო<br><br>ლტოლვილთა სამინისტრო |
| **4** | **სოციალური დაცვა** | 1. სოციალური დახმარება/ შემწეობა | 1. სდმ პირების მიერ სოციალური პაკეტის მიღებისთვის არსებული ბარიერი- იმისათვის რომ სდმ პირებმა მიიღონ სოციალური პაკეტი საჭიროა წარმოადგინონ ცნობა რომ არ იღებენ პენსიას მოქალაქეობის ქვეყანაში, რაც სდმ პირთა ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე არა არის შესაძლებელი | | არსებული ბარიერის აღმოფხვრისთვის საჭირო ცვლილებების განხილვა და ინიცირება | 2019 | შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;<br><br>ლტოლვილთა სამინისტრო |
| | | | | 2. სდმ პირებისათვის სოციალურად დაუცველის დახმარების ხელმისაწვდომობა | სდმ პირთათვის სოციალურად დაუცველის დახმარების ხელმისაწვდომობის საკითხთან დაკავშირებთ შესაბამის უწყებებს შორის დამატებითი კოორდინაცია<br><br>ინტეგრაციის ცენტრის მიერ სამიზნე ჯგუფის ინფორმირება მოცემულ შესაძლებლობაზე | 2019 | შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;<br><br>ლტოლვილთა სამინისტრო (ინტეგრაციის ცენტრი) |
| | | | | 3.თბილისის მერიის მუნიციპალური | დამატებითი შეხვედრები თბილისის | 2018 | თბილისის მერია; |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | პროგრამების ხელმისაწვდომობა თბილისში რეგისტრირებული პირებისათვის | მერიასთან კოორდინაციისათვის | | ლტოლვილთა სამინისტრო |
| | | 1. განსახლება/თავშესაფარი | | 1. განთავსების საკითხი იმ პირებისათვის, რომელთაც ჭირდება მუდმივი ზედამხედველობა (შშმ პირი, სხვადასხვა სერიოზული დაავადების მქონე პირი და ა.შ.) | კოორდინაცია შესაბამის უწყებებთან და თანამშრომლობის ფორმატის შემუშავება | 2018-2019 | სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო (სათემო ორგანიზაციები)<br><br>ლტოლვილთა სამინისტრო |
| | | | | 2. სდმ პირთა თბილისის მუნიციპალიტეტისა თავშესაფარში განთავსების შესაძლებლობა | დამატებითი შეხვედრები თბილისის მერიასთან კოორდინაციისათვის და თანამშრომლობის ფორმატის შემუშავება | 2018-2019 | თბილისის მერია<br><br>ლტოლვილთა სამინისტრო |
| | | 2. სახელმწიფო პენსიები | 1. სდმ პირთათვის სახელმწიფო პენსიის მიღებისთვის არსებული ბარიერი- იმისათვის რომ პირებს დაენიშნოთ პენსია, საჭიროა წარმოადგინონ ცნობა რომ მოქალაქეობის ქვეყანაში არ იღებენ პენსიას, რაც სდმ პირთა ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე შეუძლებელია | | არსებული ბარიერის აღმოფხვრისთვის საჭირო ცვლილებების განხილვა და ინიცირება | 2019 | შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<br><br>ლტოლვილთა სამინისტრო |
| **5** | **გადაადგილების** | 1. სდმ პირთა | 1. სდმ პირებისათვის საქართველოში უცხო | | ლტოლვილთა სამინისტროს მხრიდან | 2018 | ლტოლვილთა სამინისტრო |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **თავისუფლება** | სამგზავრო დოკუმენტების აღიარება საქართველოში უცხო ქვეყნის საკონსულო წარმომადგენლობების მიერ | ქვეყნის საკონსულო წარმომადგენლობის მიერ სამგზავრო დოკუმენტების აღიარებასთან დაკავშირებული პრობლემები | | ამ მიმართულებით არსებული გამოწვევების შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმირება | | საგარეო საქმეთა სამინისტრო; |

[i] **განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო:**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერები მინისტრის, 2017 წლის 12 დეკემბრის ბრძანებაN193/ნ მე-5 მუხლის საფუძველზე განისაზღვრა თავშესაფრის მაძიებლისა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ვადები.

პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება წელიწადში ორჯერ, კერძოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონეთა სიის შესაბამისი წლის 30 ივლისამდე წარდგენის შემთხვევაში - არაუგვიანეს შესაბამისი წლის სექტემბრისა, ხოლო 30 ნოემბრამდე წარდგენის შემთხვევაში - არაუგვიანეს მომდევნო წლის იანვრისა.

ორივე ჩარიცხვა თანხვედრაშია სასწავლო სემესტრის  დასაწყისთან.

იგივე ბრძანების საფუძველზე პროგრამის დაწყების თარიღად განისაზღვრა 15 სექტემბერი, ხოლო დასრულების თარიღად 15 ივნისი.
სწორედ ამ რეგულაციების დაცვის საფუძველზე ხერხდება პროგრამის თანმიმდევრული, შეუფერხებელი განხორციელება რაც ბენეფიციარებს აძლევს საშუალებას ისარგებლონ აღნიშნული პროგრამით და წარმატებით დაძლიონ იგი.